1. სამაგისტრო პროგრამის დასახელება

სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევაში (Master's (MSocSc) Program in Gender Studies)

2. სამაგისტრო პროგრამის ავტორები: ნინო ჯავახიშვილი, თამარ ცხადაძე, მარინე ჩიტაშვილი

პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ საბედაშვილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

საერთაშორისო აკადემიური ხელმძღვანელი (foreign academic supervisor): ჯოანა რეგულსკა, რათგერსის უნივერსიტეტის ქალთა და გენდერის კვლევების დეპარტამენტის პროფესორი, საერთაშორისო პროგრამების დეკანი (ნიუ-ჯერსი, აშშ).

3. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:

- ბაკალავრის ხარისხი ან დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა სოციალურ მეცნიერებებში;

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;

- სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში შესვლისათვის;

-მოტივაციის წერილის წარმოდგენა, რომელშიც ასახული იქნება აპლიკანტის სურვილი, მოლოდინი, მოტივაცა და ხედვა, თუ რატომ აბარებს ის კონკრეტულად ამ სპეციალობაზე.

დამატებით აპლიკანტს შეუძლია წარმოადგინოს ნებისმერი რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ასახავს მის აქტივობას, კვალიფიკაციის დონეს ან სამუშაო გამოცდილებას სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით;

- მაგისტრანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B2 დონეზე. ამ მოთხოვნის შესასრულებლად კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები), ან ჩააბაროს უცხო ენაში თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა;

- კანდიდატთა საბოლოო შერჩევა ხდება საგანგებოდ შექმნილ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე. საგამოცდო საკითებისა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რეკომენდაციების ნახვა

შეიძლება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ვებგვერდზე. საკითხავი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიის მოთხოვნა შეიძლება ცენტრის ბიბლიოთეკაში.

4.გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:

- ინგლისური ენის ტესტი - B2 დონე (40%)
- გასაუბრება (60 %)
- საერთო სამაგისტრო გამოცდები - უნდა დააკმაყოფილოს მინიმალური მოთხოვნა .

5. საგამოცდო საკითხები

- ფემინისტური ეპისტემოლოგია
- ქართული ტრადიციული საზოგადოების წნეხი ქალებზე

  (ქალიშვილობის ინსტიტიუტი და სხვა პრობლემები)

- გენდერის სოციალური აგება
- გენდერული თანასწრობის პოლიტიკა საქართველოში
- ფემინიზმის მიმართულებები
- გენდერი და შრომა
- ქალთა პოლიტიკური აქტივობა
- პატრიარქატი, როგორც სისტემა

გამოცდებისათვის მოსამზადებელი ლიტერატურა ატვირთულია შემდეგ სერვერზე ftp.ucss.ge და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საკონტაქტო ინფორმაცია: პროგრამის კოორდინატორი - მარი უნაფქოშვილი 599 79 02 01. genderinstitute@tsu.ge